პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 თებერვალი პარასკევი. 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 38 (14338)

სორცის წარმოების დიდი რეზერვი

ამ თვის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აჯამებენ გასული წლის მუშაობის შედეგებს, ადგენენ მომავლის გეგმებს, ამუშავებენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს. მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს თავიანთ მიზნად აქვთ დასახული წარმატებით განახორციელონ სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, რომელიც სკკ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა დასახა. გაჩაღდა ლაშქრობა იმისათვის, რომ ეს წელი გადაიქცეს გადამწყვეტ წლად ზუთნლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

— პარტიამ დასახა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანა, — წერდნენ ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებულ მიმართვაში **ᲠᲘᲗᲔᲚᲬᲘᲐᲠᲝᲔᲚᲘ, ᲡᲘᲛᲬᲘᲐᲜᲔᲚᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲔᲚᲘ** მეცხოველეები, — უახლოეს წლებში მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრ აღმავლობას, მივიცეთ ქვეყანას მეცხოველეობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტები. ამის აუცილებლობას გვიკარნახებს თვით ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის მთელი მსვლელობა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სახელმწიფო გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეცხოველეობის, კერძოდ, მეღორეობის რენტაბელობის ღონისძიებებს. მეღორეობის განვითარების დიდ პერსპექტივებზე ისიც მეტყველებს, რომ 1970 წელს საერთოდ ხორცის წარმოებამ ჩვენს ქვეყანაში უნდა შეადგინოს 11,4 მილიონ ტონაზე მეტი. აქედან ღორის ხორცი წარმოებულ უნდა იქნას თითქმის ნახევარი.

ამრიგად, მრავალი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხორცის წარმოების სწრაფი ტემპით განვითარებაში დიდ, გადამწყვეტ როლს ასრულებს მეღორეობა. იგი იყო და რჩება ხორცით და ცხიმით მოსახლეობის უზრუნველყოფის მთავარ პირობად. ამიტომ აუცილებელია ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშორისო ფერმებსა და სახულ პუნქტებში შეექმნათ მტკიცე საკვები ბაზა, მკვეთრად გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა. ამ საფუძველზე, სხვა დარგებთან ერთად, მეღორეობა უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის რენტაბელური დარგი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეურნეობებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა და ეკონომიურად განმტკიცდნენ. ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა 1967 წელს მიიღეს თხუთმეტი მილიონი მანეთი მოგება. თანდათანობით მცირდება ზარალიანი საბჭოთა მეურნეობების რიცხვი. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე რადა. ჯერ კიდევ არის ზარალიანი ათობით საბჭოთა მეურნეობა. ასეთი მეურნეობებია **სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ახალქალაქის, წალკის, აბაშის, ხობის, ზესტაფონისა** და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

აღსანიშნავია ის, რომ მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცხოველეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევისათვის. მაგრამ იმ მეურნეობებში, სადაც ძირითადად მეღორეობაა წამყვანი დარგი, ჯერ კიდევ დიდი ზარალი აქვთ, გაზრდილია დანახარჯები და ღორის ხორცის წარმოების თვითღირებულება. ასეთებია ჭალადიდის, ქვალონის, ახალი სოფლის და სხვა მეურნეობები. ამ მეურნეობებში წელს მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს იმისათვის, რომ დაძლიონ ჩამორჩენა და მეღორეობა გადააქციონ რენტაბელურ დარგად. ასე ფიქრობენ აგრეთვე ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის სანაშენო მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ბევრგან გაამართლა იმედები უკანასკნელ წლებში შექმნილმა საკოლმეურნეობათაშორისო სასუქმა პუნქტებმა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი პუნქტი, რომელიც 1965 წელს შეიქმნა. აქ წლითიწლობით წარმატებებს აღწევენ. შარშან ამ პუნქტში მიღებულია ათობით ათასი მანეთი მოგება.

არის სიგნალები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეამცირეს ღორების სულადობა. მაგალითად, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში 1967 წლის 1 იანვრისათვის ღორების სულადობა შეადგენდა 289.900 სულს, 1968 წლის 1 იანვრისათვის 233.000 სულს, ხოლო 1969 წლის 1 იანვრისათვის — 233.500 სულს. საერთოდ, ჯერ კიდევ ნელა იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მაღალია პროდუქციის თვითღირებულება.

საქმის ინტერესები მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე მოაწყონ მუშაობა, რომ ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფილ იქნას მეღორეობის სწრაფი განვითარება და მოკლე დროში მიაღწიონ მის რენტაბელობას. ამისათვის საჭიროა მეღორეობის დარგის მუშაკთა სწორად შერჩევა. უნდა განვახორციელოთ მეღორეობაში მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი, მკვეთრად გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, განვამტკიცოთ დისციპლინა.

ცხადია, ამ წარმატებების მოპოვებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერების მიღწევებმა და მოწინავეთა გამოცდილების გბიდულად, ფართოდ დანერგვამ წარმოებაში. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა, ხელმძღვანელმა მუშაკებმა წინა პლანზე უნდა წამოსწიონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები. ამ საქმეში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებმა, მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, მათმა ფილიალებმა, სადგურებმა და საყრდენმა პუნქტებმა. ინსტიტუტებსა თუ ლაბორატორიებში შექმნილი სიახლენი, პრაქტიკაში გამოცდილი მეთოდები სწრაფად, გონივრულად უნდა დავნერგოთ წარმოებაში.

ცნობილია ისიც, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპზე როდი დამოკიდებული. იგი დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად, საქმის ცოდნით ვიყენებთ მექანიზაციას. დასამალი როდია, რომ მეცხოველეობაში საერთოდ ჯერ კიდევ სუსტად არის დანერგილი მექანიზაცია, უფრო ცუდად — კომპლექსური მექანიზაცია. ამას ხერხოსული ყურადღება უნდა მივქცეს. უნდა გვახსოვდეს, რომ შემდგომი ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში განვითარების გენერალური გზაა.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲘ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲘ — ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲒᲐᲛᲐᲡᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ. იგი უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, ეკონომიკის განმტკიცებას.

სოფლის მეურნეობის დაჩქარებული აღმავლობის საქმეში მეცნიერთა როლზე ყურადღება გამახვილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომლის დადგენილებაში ნათქვამია: „ᲙᲚᲔᲜᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ, ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲐᲓᲘᲚᲝᲜᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲦᲝᲜᲔᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲗ“.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ყოველივე სიახლის დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს, უზრუნველყონ ამ დარგში პარტიის მიერ დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულება.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განახილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი 1966-1970 წლებში ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირზე იყვნენ პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნები, აფხაზეთისა და აჭარის სსრ რესპუბლიკების საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, რაიაღმასკომთა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის საწარმო საამართველოთა უფროსები. მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და მექანიზატორები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროების, „საქსოფლტექნიკის“, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშაკები, მეცნიერები, მანქანათა კონსტრუქტორები და სხვა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **მ. დოლაბერიძემ.** თანამოხსენებანი გააკეთეს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ პროფესორმა **ი. ხიხლოვმა** და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საკონსტრუქტორო-პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა **შ. კერესელიძემ.**

კამათში მონაწილეობდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. კობახია,** პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. თხილაშვილი,** პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ა. თოიძე,** ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ო. ანთია,** სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი **გ. გორდეზიანი,** ფალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. კვარაცხელია,** პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **გ. ვაშაძე,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის დირექტორი **ი. ᲣᲣᲣᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ,** საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველი **ო. აბესაძე,** ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი **რ. ფანცხავა,** სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების გამგე **მ. კვირკველია,** „საქსოფლტექნიკის“ გალის რაიონული განყოფილების მმართველი **ნ. თოდუა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ე. ᲚᲣᲯᲣᲨᲕᲘᲚᲘ,** მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. გორდელაძე.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ᲭᲐᲜᲣᲧᲕᲐᲫᲔ.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და მოიწერეს ჩაიაე მექანიზატორების კიდევ უფრო ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ᲒᲝᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **ვ. ᲕᲐᲫᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ბ. ᲒᲘᲒᲘᲑᲔᲠᲘᲐ,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ᲠᲝᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲕᲚᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ: ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡᲘ, ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

შარშან, ხუთწლედის მესამე წელს, დიდი რაოდენობით წარმოებულ იქნა რუსთავის მარკის თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, ცემენტი, მინერალური სასუქები, სამშენებლო მასალები, ქიმიური ბოჭკო, კაპროლაქტამი და სხვა პროდუქცია.

ახალი წელი ახალი ენერგიითა და შემოქმედებითი შრომით დაიწყო. მაგნიტოგორსკის, მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მაგალითისამებრ რუსთავის ყველა საწარმოში ფართოდ გაიშალა ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

ამ დღეებში შედგა საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე წლის ამოცანებს და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ახალი სოციალისტური ვალდებულების დამტკიცებას.

პლენუმზე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის რუსთავის შრომელებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები. ამასთან მოწოდებით მიმართეს საქართველოს ყველა ქალაქის, აგრეთვე სუმგაითის, კიროვაკანისა და ჩერკასის მშრომელებს, რომლებთანაც მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ, გააღიდონ შრომის ტემპი. რუსთაველები კისრულობენ წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შემდგომი ზრდით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით, მოწყობილობის უკეთ გამოყენებით და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით მიაღწიონ შემდეგ წარმატებებს:

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲨᲘ

25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაანაღდონ წიური დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან **1.500** ტონა კოქსი, **500** ტონა თუჯი, ასობით ტონა ფოლადი, მზა ნაგლინი და მილები; **3** პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. დანერგონ **585** რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი **100** ათასი მანეთი იქნება. დაზოგონ **1.500** ტონა პირობითი საწვავი და **2,9** მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲨᲘ

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ გადამეტებით მოახდინონ ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; გეგმის გადამეტებით აწარმოონ ასობით ტონა ამიაკი, **5.000** ტონა მინერალური სასუქები; შრომის ნაყოფიერება გაზარდონ **4,7** პროცენტით, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით გასწიონ **50** ათასი მანეთის ეკონომია, ამიაკური გვარჯილის წარმოებაში მოახდინონ ავტომატური მართვის სისტემის რეკონსტრუქცია, ვადაზე ერთი თვით ადრე აითვისონ ცინამარილების, ამიაკისა და კარბიდის წარმოებათა საპროექტო სიმძლავრენი.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲨᲘ

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ გადამეტებით — გამოუშვან ათობით ტონა ქიმიური ბოჭკო და მოახდინონ **400** ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; **1968** წელთან შედარებით **1,7** პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, **100** პროცენტით აითვისონ კორდისა და ანრეშუმის სიმძლავრენი, დანერგონ **180** რაციონალიზატორული წინადადება, მოამზადონ სხვადასხვა ახალი კვალიფიკაციის **600** მუშა, **700** კაცს აუმაღლონ კვალიფიკაცია.

ᲡᲐᲛᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაანაღდონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით აწარმოონ **5.000** ტონა ცემენტი, **5.000** ტონა კლინკერი, **200** კუბური მეტრი ფიბროლიტი, **750** ტონა თაბაშირი; **1** პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება; გეგმის გადამეტებით მიიღონ **160** ათასი მანეთი მოგება.

ᲙᲐᲛᲬᲔᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ

1969 ᲬᲔᲚᲘ **1968** წელთან შედარებით **557** ათასი მანეთით გაზარდონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, **0,3** პროცენტით — შრომის ნაყოფიერება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან **3** ამწე მანქანა, მიიღონ **80** ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, გასწიონ **70** ტონა ნაგლინის, **5** ტონა პირობითი საწვავის, **50** ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ გეგმა შეასრულონ: ხორცკომბინატმა — პირველი ნოემბრისათვის, პურკომბინატმა — **25** დეკემბრისათვის, ხილის წყლების კომბინატმა — **26** დეკემბრისათვის. ხორცკომბინატში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება **15** პროცენტით, პურკომბინატში — **2** პროცენტით, ხილის წყლების კომბინატში — **5** პროცენტით.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

1969 ᲬᲚᲘᲡ **28** ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაანაღდონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა. ვადაზე **10** დღით ადრე დაამთავრონ ამიაკისა და კარბამიდის საწარმოების მშენებლობა, ერთი თვით ადრე — მესუთე მიკრორაიონის სკოლის მშენებლობა, ორი თვით ადრე — სასმელი წყლის № **1** ჭის მშენებლობა, **94** პროცენტამდე აიყვანონ მიწის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, ხოლო ბეტონისა — **91** პროცენტამდე. მოამზადონ **1.400** მუშა და **60** ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ

28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაანაღდონ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა, ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება შეამცირონ **2** პროცენტით, ხოლო კავშირგაბმულობის სამუშაოთა თვითღირებულება — **1,5** პროცენტით, რადიოწერტილებისა და სატელეფონო აბონენტების ზრდის წლიური გეგმა შეასრულონ **1969** წლის **5** დეკემბრისათვის.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲓᲠᲐᲓ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. აღგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრება გაიმართა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში.

კრების მონაწილეებმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს წარმოების საუკეთესო მუშაკები — მღებავი **მაყვალა რაჟდენის ასული ვეფოიშვილი** და მტვირფავი **გალინა ედუარდის ასული ტიხონოვა.** კრებაზე გულთბილად ილაპარაკეს დეპუტატობის კანდიდატების შესახებ, გამოთქვეს რწმენა, რომ კოლექტივის წარგზავნილნი გაამართლებენ ხალხის მაღალ ნდობას.

თბილისის ელმავალმშენებლებმა ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს აგრეთვე საწარმოს დირექტორი **ალექსანდრე ილიას-ძე ბუაძე** და ქარხნის პარტკომის მდივანი **კონსტანტინე კალისტრატეს-ძე გურული.**

დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა წინასაარჩევნო კრებამ, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კანდიდატთა დასახელებას თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანაში. მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაადგინეს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში დასახელონ საწარმოს წარჩინებული ამწყობი ზეინკალი **ვალერიან ირაკლის ძე გოშაძე** და ქარხნის დირექტორი **შალვა ანდრიას ძე გურაბანიძე.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში გაიმართა კოლექტივების წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიეძღვნა აგდილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრებების საამქროს მუშებმა და მოსამსახურეებმა ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს საამქროს საუკეთესო ზეინკალი **გიორგი ერასტის-ძე ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.**

საეკსპერიმენტო საამქროს მხეზავი **ლერი შალვას ძე ᲭᲝᲬᲝᲠᲘᲐ** დასახელეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საეკსპერიმენტო საამქროს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტა დეპუტატობის კანდიდატად საქალაქო საბჭოში დასახელოს ამ საამქროს საუკეთესო დამხარისხებელი **ნელი ვლადიმერის ასული ᲛᲔᲮᲘᲔᲫᲔ.**

აბრეშუმკომბინატის № 1 საქსოვი საამქროს კოლექტივისაგან ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საწარმოს მრავალდაჯილდოებული **მადონა ᲛᲐᲛᲔᲜᲪᲘᲡ ასული ᲨᲣᲑᲚᲐᲫᲔ.**

ᲒᲝᲠᲘ. ქალაქში მიმდინარეობს აღგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები.

გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა მოწინავე ფეიქარი **ზაირა გიორგის ასული ᲤᲐᲮᲐᲫᲔ,** ზეინკალი **სტეფანე ზაქარიას ძე ᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** ფეიქარი **გალინა მიხეილის ასული ᲤᲐᲓᲐᲔᲕᲐ,** კომბინატის დირექტორი **ზაქარია ევგენის ძე ᲪᲐᲠᲪᲕᲐᲫᲔ** და სხვები (საქდესი).

ᲥᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲓᲠᲐᲓ

ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲡ

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ზღვისპირა ქალაქ ფოთში გაჩაღებულია მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. წინა არჩევნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ქალაქი, გაჩნდა ახალი საცხოვრებელი მასივები, საწარმოო-საყოფაცხოვრებო და კულტურის კერები. სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნა ხუთი ახალი საარჩევნო ოლქი. საერთოდ კი მომავალ არჩევნებში ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში აირჩევენ 160 დეპუტატს.

ამომრჩეველთა კლუბებში, პოლიტგანათლების კაბინეტებში, ბიბლიოთეკებში, მუშათა კლუბებში მოწყობილია არჩევნებისადმი მიძღვნილი მასალების გამოფენები. ეწყობა ლექციათ-მოხსენებები.

მუდამ ბევრი ხალხია ნავსადგურის ამომრჩეველთა კლუბში. აქ 50-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი აწყობს წინასაარჩევნო საუბრებს მშრომელებთან. კლუბში ხშირად ნახავთ სხვადასხვა გემის მეზღვაურებსაც, რომლებიც ინტერესით ეცნობიან თემატურ სტენდებს, საარჩევნო მასალებს, კულტურულად ერთობიან.

საინტერესოდ მოაწყეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აგრეთვე რკინიგზის, ცენტრის პირველმა, ნინოშვილის პირველმა და სხვა ამომრჩეველთა კლუბებმა.

1. საქმიანი კაცის ხელწერა...

ერთი სკოლის მეცადინეობაზე

დაკვირვებული კაცი მუდამ შეამჩნევს თავისებური ხელწერას იმ კაცისას, რომელმაც წუნდაუდებლად შეასრულა მინდობილი საქმე. არავის გამოეპარება ისიც — სისტემატური დადებითი სურათი თუ ეპიზოდური. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ეასევი მაღრაძისათვის პოლიტიკური სწავლების საქმეში ეპიზოდურობა არ არსებობს. გამოცდილი პროპაგანდისტი სათავეში უდგას ქალაქ ცხაკაიაში არსებულ სამტრესტის ღვინის ქარხნის კომუნისტებისათვის შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლას.

...ყურორტ მენჯისაკენ მიმავალი გზის პირას არის აგებული ეს ქარხანა. მას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ვრცელ, ნათელ ოთახში მსმენელები დროზე მოვიდნენ. პროპაგანდისტმა სია ამოიკითხა, მერე შეკითხვით მიმართა დამსწრეებს — ხომ არ მქონდათ რაიმე შესაკითხი წინა მეცადინეობაზე გავლილი მასალიდან. როცა შეკითხვები არ აღმოჩნდა, ე. მაღრაძე შეუდგა მოკლე საუბარს საერთაშორისო ამბებზე, უფრო სწორად — უკანასკნელი კვირის ვითარებაზე.

მსმენელები ყურადღებით უსმენდნენ თავიანთ პროპაგანდისტს, რომელიც დეტალურად ყვებოდა და ანალიზს უკეთებდა მსოფლიოს ამბებს, თითქოს ფურცლავდა გუშინდელ, მაგრამ უკვე ისტორიად ქცეულ მოვლენათა ფურცლებს.

— ახლა კი შეუდგეთ საქმეს, — თქვა პროპაგანდისტმა. — კონსპექტები ყველას გაქვთ, მოკლე ჩანაწერებიც გაგიკეთებიათ. ამა თუ ამგვარ საკითხთან დაკავშირებით ვინ ისაუბრებს თემაზე — რა პრინციპებზეა აგებული მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების ურთიერთობა?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა ისურვა ქარხნის ალმრიცხველმა ლამარა ხოფერიამ. მან საფუძვლიანად განმარტა, რომ სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობა ეყრდნობა შრომის დანაწილებას ამ ქვეყნებს შორის, მისი პრინციპია ნებაყოფლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლიანობა. მსმენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სოციალიზმის ყველა ქვეყანა ერთნაირად რიდია უზრუნველყოფილი ბუნებრივი და შრომითი რესურსებით. ამიტომ მეგობარი სახელმწიფოები ერთმანეთს უნაწილებენ თავიანთ საშუალებებს. მან ისიც აღნიშნა, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილება ვითარდება კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ აქ იგი ყალიბდება სტიქიურად, კონკურენციის მგლური კანონის საფუძველზე, რაც ეკონომიკას ზრდის მახინჯად, ცალმხრივად.

ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაზე ილაპარაკა ბუხპალტერმა ციალა ხოჯგუამ. მან აღნიშნა, რომ ორ სისტემას შორის გაშლილი ბრძოლის ყველაზე დიდი ასპარეზია ეკონომიკა, სოციალიზმის გამარჯვება ეკონომიურ შეჯიბრებაში გარდუვალია.

პროპაგანდისტი გზადაგზა მოხერხებულად უსწორებდა მსმენელთ ზოგიერთ გადახვევებს, იძლეოდა სწორ ორიენტაციას.

კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ეკონომისტმა ვერა ლომაიამ, მედვინე დეგული შალამბერიძემ.

მეცადინეობის ბოლო საათე პროპაგანდისტმა დაუთმო ახალი მასალის გადაცემას. ამით ამოწურა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა. მორიგი მეცადინეობა მიეძღვნება მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას.

...ზემოთ აღვნიშნეთ პროპაგანდისტის ხელწერაზე. ეასეთი მაღრაძეს, რომელიც მეეენახეობაში მოღვაწეობს, აქვს თავისებური მიდგომა ადამიანების მიმართ, მისი მეცადინეობა მუდამ საქმიანი და საინტერესოა. ამიტომაც სწავლობენ გულმოდგინედ ამ ქარხნის კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები.

ბ. მილიუტინი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

2. მსმენელთა პასიურობით

გულრიფშის რაიონი. სოფელ მერხეულის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის კანტორაში კოლმეურნე კომუნისტები გროვდებიან. ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის მსმენელები არიან. სწავლობენ სკკპ ისტორიას.

დანიშნული დროისათვის ჩვიდმეტი კაცი მოვიდა. სკოლაში კი 34 მსმენელია გაერთიანებული. მსმენელები კოლმეურნეობის ბუხპალტერიის ვიწრო ოთახში ძლივს მოთავსდნენ.

პროპაგანდისტმა ოთარ ქანთარიამ სია ამოიკითხა და იქვე გამოირკვა, რომ ცალკეული მსმენელის გვარი სკოლის დაკომპლექტების დროს რატომღაც ფორმალურად ჩაუწერიათ. აბა სკოლის მსმენელთა სიაში რა შეესატანი იყო ისეთი ამხანაგების გვარი, რომლებიც მოხუცებულობისა და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მეცადინეობაზე საერთოდ ვერ ცხადდებიან.

მსმენელების — კომუნისტების ს. გვარამაიას, ა. გაბუნიას, ა. გორდულავას, ვ. ფაცაციას, ი. ცანავას, ქ. ქვაბენაიანს და სხვების მეცადინეობაზე გამოუცხადებლობის მიზეზი საერთოდ გაურკვეველი დარჩა!

პროპაგანდისტმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მსმენელებს და მეცადინეობა დაიწყო იმ იმედით, რომ დანარჩენი მსმენელები დაგვიანებით მაინც მოვიდოდნენ.

პროპაგანდისტმა ო. ქანთარიამ თავისი მომზადებული ლექცია სკკპ XXII ყრილობას, კომუნიზმის მშენებლობის მთავარ ამოცანებს მიუძღვნა. მართალია, პროპაგანდისტი საკითხის ცოდნას ამეღავნებდა, მაგრამ საუბარი მაინც მშრალი იყო, რადგან მას არ გამოუყენებია დიაგრამები და თვალსაჩინოების სხვა რაიმე საშუალება.

დაამთავრა თუ არა ახალი მასალის მიმოხილვა, პროპაგანდისტი გადავიდა გასაუბრებაზე. მან დასვა რამდენიმე კითხვა, რომლებიც შეეხებოდა სკკპ XXI ყრილობას, სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საკითხებს.

ამ კითხვებზე ერთობ მოკლე: ორ-სამწინადადებიანი პასუხი გასცეს ზ. თოლორაიამ, ს. ღვინჭილიამ, ი. ქანთარიამ, ე. როგავამ. მსმენელთა უმრავლესობა პასიურობდა, უსიტყვოდ იჯდა. აქ არ იყო გაბლილი მსჯელობა. მეცადინეობას შეზღუდული სკოლარული ელფერი დაჰკრავდა.

ყველაფერი ეს 40 წუთში დამთავრდა. ცხადია, მეცადინეობის ასე სწრაფად დამთავრება, მსმენელთა უღიმღამო პასუხები და ისიც ორი-სამი ამხანაგის, თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, რომ მსმენელთა უმრავლესობა ვერ ერკვევა განვლილ მასალაში.

ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიგვაჩნია ამ სკოლის თავიდან არასწორად დაკომპლექტება. მსმენელთა თითქმის ნახევარს ოთხი-ხუთი კლასის განათლება აქვს, ხოლო მეორე ნაწილი რვაწლიანი და საშუალო განათლებით არის. ბუნებრივია, მსმენელთა პირველი ნაწილისათვის ძნელია სკკპ ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. ზოგიერთმა მათგანმა ეს გულახდილად აღიარა.

პროპაგანდისტმა მოიბოდიშა: მსმენელებს ეს საკითხები უკეთ ეცოდინებოდათ, მაგრამ სწავლის დაბალი ხარისხი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების უქონლობითაც აიხსნებაო. 34 მსმენელიდან მხოლოდ ორ ამხანაგს აქვს სახელმძღვანელო.

სად არ ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიშოვნეთო, თქვეს მსმენელებმა და პროპაგანდისტმა. ასევე გვიპასუხა პარტიულმა ახალმა მდივანმა ვ. ჯოსტიანენკომ.

ცხადია, უწიგნოდ სწავლა ძნელია. და ასეთ შემთხვევაში მით უფრო სამწუხაროა ის, რომ არც კონსპექტი, არც მოკლე თეზისები არ გაიჩნიათ აქაურ მსმენელებს.

სკოლის ამ ერთ-ერთმა მორიგმა მეცადინეობამ გამოავლინა მსმენელთა მომზადების დაბალი დონე, კომუნისტების უპასუხისმგებლობა თავიანთი იდეური ცოდნის ამაღლებისადმი, პარტიული ორგანიზაციის სუსტი კონტროლი და ხელმძღვანელობა პოლიტიკური სწავლებისადმი.

საინტერესოა, რას იტყვის ამის შესახებ პარტიის გულრიფშის რაიკომი?

ი. გოგეჩია.

„კომუნისტის" საკ. კორ.

საწარმო და რეფორმა

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის ეფექტიანი გამოყენება ღიდად არის დამოკიდებული რეფორმის მექანიზმის საფუძვლიან და შემოქმედებითს ათვისებაზე. საწარმოს მთელი კოლექტივის მობილიზებაზე დასახულ ამოცანათა გადასაჭრელად. სამეურნეო რეფორმის კეთილმოწყობი გვიდგენს წარმოებაზე კარგად ნაანგარიშებ ადგილობრივი მრეწველობის თბილისის № 3 მექანიკური ქარხანა 85-ის კოლექტივი არაერთგზის დაკოდოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

□ □

თბილისის № 3 მექანიკური ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძველი საწარმოა. იგი სპეციალიზებულია რკინაკაჟეულის ნაწარმის, აგვარის ფურნიტურის და ღილის განათების სამრეწველო არმატურის წარმოებაზე, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ამ საწარმოს ფაბრიკა ადგილი უჭირავს. საკმარისია ითქვას, რომ სამინისტროს საერთო პროდუქციის 18 პროცენტს აღნიშნული საწარმო იძლევა, მაშინ როცა ამ სისტემაში 90-ზე საწარმო შედის.

ახალ სამეურნეო რეფორმაზე ქარხანა 1967 წლის 1 იანვრიდან გადავიდა. გადასვლას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები. დირექციის ინიციატიერით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადების კალენდარული გეგმა. უპირველეს ამოცანად დასახეს სამეურნეო რეფორმის ძირითადი პრინციპების ღრმა და შემოქმედებითი ათვისება, კადრების ეკონომიური ცოდნის ამაღლება, რისთვისაც ჩამოყალიბდა სპეციალური სემინარული ჯგუფები საწარმოს მუშაკთა ცალკეული კატეგორიათა მიხედვით.

დიდი მუშაობა გასწიეს ქარხანაში მოძველებული და გამოუსადეგარი ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოვლინებისა და რეალიზაციისათვის, ბალანსიდან ჩამოიწერა 9.500 მანეთის ძველი მანქანა-დანადგარები; ჩამოწერილ იქნა აგრეთვე 2.200 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია, რომელიც არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო სტანდარტს, ტექნიკურ პირობებს და მომხმარებელთა მოთხოვნილებას. რეალიზებულ იქნა საწარმოსათვის გამოუსადეგარი 12.600 მანეთისაზე მეტი ღირებულების ნედლეული და მასალები. წარმოების შიდარეზერვების გამოვლინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა გამომუშავებისა და ნედლეულის ხარჯვის ნორმების დაზუსტება.

ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩატარებულმა გაანგარიშებებმა გამოავლინა, რომ ეკონომიური სტიმულირების ფონდების სათანადო ოდენობით შესაქმნელად საკმაო არ იყო საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სახსრები და ხელფასის გეგმიური ფონდი. ამიტომ, გამოავლინა რა წარმოების შიდარეზერვები, საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა ეკისრა დამატებითი ვალდებულება სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისა 246 ათასი მანეთის, და მოგებისა 104 ათასი მანეთის ოდენობით.

ახლებურად მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი ტექნიკურმა ღონისძიებებმა. საკუთარი ძალებით ჩატარდა ყველა მანქანა-მოწყობილობის რემონტი, შეიძინეს ახალი მანქანა-დანადგარები, რომელთა წარმადობა გაციცლებით აღემატება მანამდე არსებულს. მოხმარებელთა მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით გადახალისდა პროდუქციის ასორტიმენტი, მოიხსნა პროდუქციის ის სახეობანი, რომლებსაც უშვებდნენ გასულ წლებში, მაგრამ მათზე მოთხოვნილება შემცირდა (მაგალითად, ტანსაცმლის სამაზავრო და კედლის საკიდები და სხვ.). ითვისეს პროდუქციის ახალი სახეობანი: ორი სახის სანთებელა გაზის ქურებისათვის, საბავშვო ველოსიპედი და სხვ.

საწარმოს კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას შავი და ფერადი ძვირადღირებული ლითონების ნაცვლად წარმოებაში პლასტმასების დანერგვის შესახებ. ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებებით ახლებურად მუშაობის ორი წლის (1967-1968 წ. წ.) მანძილზე დაიზოგა 24 ტონა შავი და ფერადი ლითონი. დიდი ყურადღება მიექცა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 1968 წლის 6 თვეში დაინერგა 12 ღონისძიება, რომელთა შემუშავებაში 52 კაცი მონაწილეობდა. ამ ღონისძიებათა წლიური ეკონომიური ეფექტი 42.800 მანეთს აღემატება.

ეკონომიურმა რეფორმამ რეალიზაციის მაჩვენებელი წინა პლანზე წამოსწია და გაანგარიშებითი მაჩვენებლიდან წარმოებულ მუშაობის შეფასებით მაჩვენებლად აქცია. რეალიზაციის გეგმის სისტემატურად შესრულება შეუძლებელია, თუ პროდუქციის გამოშვება და მომხმარებლებისათვის მიწოდება რიტმულად არ ხდება. აღნიშნულ ქარხანაში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა საწარმოებში, რეფორმამდე წარმოების კეგმის შესრულებას ძირითადად მეორე და მეტწილად მესამე დეკადაში აღწევდნენ, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა პროდუქციის რეალიზაციის რიტმულობაზე. დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მთავარი ყურადღება სწორედ პროდუქციის რიტმულ გამოშვებაზე გამახვილდა.

მკვეთრად გაუმჯობესდა წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, შეიქმნა პროდუქციის გამოშვებისათვის ნამზადის საჭირო რაოდენობის მარაგი, რამაც პროდუქციის რიტმული გამოშვების შესაძლებლობა შექმნა. შემუშავდა სათანადო გრაფიკები, რომლის მიხედვით დაწესდა ოპერატიული კონტროლი პროდუქციის გამოშვებაზე, მომხმარებლისათვის მის მიწოდებასა და რეალიზაციაზე. თუ 1966 წლის მეოთხე კვარტალის პირველ დეკადაზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 15, მეორეზე — 23 და მესამეზე — 62 პროცენტი, 1968 წლის მეოთხე კვარტალში პირველ დეკადაზე მოდიოდა 29, მეორეზე —39, ხოლო მესამეზე — 32 პროცენტი. პროდუქციის რიტმულად გამოშვებამ, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებამ განაპირობა რეალიზაციის გეგმების სისტემატური გადაჭარბებით შესრულება. თუ 1966 წელს ქარხანამ გაყიდა 3.349 ათასი მანეთის პროდუქცია, 1967 წელს (ვ. ი. ახლებურად მუშაობის პირველ წელს) ეს მაჩვენებელი 276 ათასი მანეთით, ანუ 8,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1968 წელს მომხმარებელს გაეგზავნა 3850 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია, რაც რეფორმამდელ დონეს 15 პროცენტით აღემატება.

რეალიზაციის გეგმის შესრულებამ უზრუნველყო გეგმის განადგდება მოგებისა და რენტაბელობის მიხედვითაც. 1968 წელს ქარხანამ 795 ათასი მანეთის მოგება მიიღო, რაც საგრძნობლად აღემატება 1967 წლის მაჩვენებელს, ხოლო რეფორმამდელ დონეს 24,8 პროცენტით სჭარბობს. ისევე როგორც ახლებურად მომუშავე სხვა საწარმოებში, აქაც ეკონომიური სტიმულირების ერთ-ერთ ფონდშემქმნელ მაჩვენებლად დაწესებულია გაანგარიშებითი რენტაბელობის დონე. 1968 წლისათვის გაანგარიშებითმა რენტაბელობამ 46 პროცენტი შეადგინა, რაც 9 პროცენტით აღემატება 1966 წლის დონეს.

რენტაბელობის დონის ასეთი ამაღლება იმის შედეგია, რომ ქარხნის თვითეული მუშაკი მატერიალურად არის დაინტერესებული საწარმოო ფონდების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებით. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ თუ 1966 წელს სასაქონლო პროდუქციის გამოშვება ძირითადი და საბრუნავი ფონდების 1 მანეთზე შეადგენდა 1 მანეთსა და 80 კაპიკს, 1967 წელს მან შეადგინა 2 მანეთი და 8 კაპიკი, ხოლო 1968 წლის ბოლოსათვის მიაღწია 2 მანეთსა და 30 კაპიკს. ამრიგად, საწარმოო ფონდების გამოყენების ეს მაჩვენებელი გასულ წელს 28 პროცენტით გაიზარდა.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში წარმატებით მუშაობა დიდად არის დამოკიდებული შიდასამეურნეო ანგარიშის ეფექტიანობაზე. ქარხნის ხელმძღვანელობას არც ეს საკითხი გამორჩენია მხედველობიდან. შემუშავებული შიდასაკარხნო სამეურნეო ანგარიშის დებულების შესაბამისად გასული წლის პირველი იკლისიდან ქარხნის ხუთი ძირითადი საამქრო გადაიყვანეს სამეურნეო ანგარიშზე. ეს საამქრები, ძირითადად, დახურული ციკლით მუშაობენ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ცალკეული დეტალების დამზადებაში კოოპერირება უხდება სხვა საამქროებთან. ასეთ დეტალებზე შეიმუშავეს პირობით საბითუმო ფასები, რამაც შესაძლებელი გახადა სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელი ღირებულებით ფორმაში დაყვანილიყო თვითეულ საამქროდე.

ამრიგად, საამქროების სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელი ღირებულებით ფორმაში გაუტოლდა ქარხნის საერთო მაჩვენებელს და ნათლად გამოავლინა თვითეული საამქროს წვლილი ქარხნის საერთო ეკონომიურ მაჩვენებლებში. საინტერესოა: საბარნლის პროდუქციის მოცულობა ასტრონომიულ ციფრებად ითარგმნა. ეს — ბაკალეა, ბოლოს, ბოლოს, ეროვნული ხელფასი, ბონუსი, მეექვსე თვის ანგარიში, ბინა, ბალნიანი ეზო, ბავშვთა ბაღ-ბინა, ბანაკი, ბავშვთა ბანაკ-ბინა, ბენზინგასამართი, ბენზინგასაყიდი, ბენზინგასაყიდ-ბენზინგასამართი, ბენზინგასაყიდ-ბენზინგასამართ-ბენზინგასაყიდ-ბენზინგასამართ-ბენზინგასაყიდ-ბენზინგასამართ-

საერთაშორისო ცხოვრება

13 თებერვალი

ტედეტაპის ინციდენტი

ხელი მოაწერეს მემორანდუმს

ტოკიო, 13 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს მემორანდუმს საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის საჰაერო მიმოსვლის გაფორმების საკითხებზე. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 6-13 თებერვალს ტოკიოში.

ბრძოლა კეერში

დამასკო, 13 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით ისრაელის რეზერვი „ბირაშის“ ტიპის პაიზამანდაგზე შეიჭრა სირიის საკავერ სივრცეში და იერიში მიიტანა სირიის ორ თვითმფრინავზე, რომლებიც საზღვრისკენ ფრენას ასრულებდნენ ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ახლოს. კამერი გაიმართა ბრძოლა. ისრაელის პაიზამანდაგზე ტანკებმა შეაღწიეს სირიის ერთი თვითმფრინავის ჩამოგდება. თვითმფრინავის პილოტი გადარჩა. ეს დღეს განაცხადა აქ სირიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა.

ჩამოგდებულია 3.265-ე თვითმფრინავი

ჰანოი, 13 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა 12 თებერვალს ჩამოაგდეს ამერიკის უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სივრცეში შეიჭრა ნამის პროვინციაში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ეს არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკელთა 3.265-ე თვითმფრინავი.

მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ გუშინ გამოაცხადა, რომ ნევადის შტატის პოლიგონზე მოახდინეს მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

მხოლოდ ფაქტები

● **სოფია, 13 თებერვალი.** (საკდესი). აქ გაიმართა მოლაპარაკება ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის ტექნიკისა და კაპიტალური მშენებლობის კომიტეტის დელეგაციებს შორის.

როგორც ბულგარეთის დეპეშა-თა სააგენტო იუწყება, მოლაპარაკებს შორის მოხდა მეილის ბოქსი დოკუმენტები, რომლებიც ეხება ორი კომიტეტის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

● **ბერლინი,** (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბეიკომპანია „ინტერფლუგი“ წელს პირველად გამოიყენებს საბჭოთა ლაინერ „ტუ-134“-ს ლაიფციგ-ვენა-ლაიფციგისა და ლაიფციგ-კოპენჰაგენის საერთაშორისო ხაზებზე. ეს ხაზები მოემსახურებიან ლაიფციგის საგაზაფხულო ბაზრობის მონაწილეებსა და სტუმრებს.

პირველად ბაზრობის მონაწილენი ლაიფციგში თვითმფრინავით ჩამოიყვანეს 50 წლის წინათ, 1919 წელს. (საკდესი).

● **პარიზი, 13 თებერვალი.** (საკდესი). დღეს პარიზის გარეუბან ვიტრიში მუშაობა დაიწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმი განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სენატის რეფორმისა და ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შეცვლის თაობაზე მომავალ რეფერენდუმთან. მოხსენება ამ თემაზე გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაიუნმა.

თვითნებობის ახალი აქტი

პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ბონელი რევანშისტების პოლიტიკის გამო

მარშავა, 12 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

პოლონეთი, ხელმძღვანელობს რა თავისი საკუთარი უშიშროებისა და ევროპის უშიშროების ინტერესებით, ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ზრუნვით, ყურადღებით და შეშფოთებით აღიგზნებს თვალს საშიშ ტენდენციებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დაწესებული ტერიტორიული სტატუსკვოს გადასინჯვას. ამ ტენდენციების ერთ-ერთი გამოვლინება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკაში არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთა პროვოკაციული გადაწყვეტილება, მოიწვიონ ამა წლის მარტის დამდეგს დასავლეთ ბერლინში დასავლეთ გერმანიის ფედერალური კრების სხდომა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — დასავლეთ ბერლინში — დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულში, ომის ნიშნდობლივი მაგალითია, რომ ცივი ომის დასავლეთგერმანელი მომხრენი ცდილობენ გაამწვავონ ვითარება დასავლეთ ბერლინის გარშემო და გაძლიერონ დაძაბულობა ევროპაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთა გადაწყვეტილების პროვოკაციულ ხასიათს განსაკუთრებით ეტყობა ის, რომ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ლანდტაგების დეპუტატები ნეოფაშისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისაგან და ამ პარტიის თავმჯდომარე ფონ ტადენი.

როგორც ცნობილია, მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით, დასავლეთი ბერლინი არასოდეს არ ყოფილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი, ხოლო დასავლეთ ბერლინის განსაკუთრებული სტატუტის პატივისცემა სავსებით შეესაბამება ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებს. ყოფილი ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს, მათ შორის დიდ სახელმწიფოებს, არაერთხელ გაუცხადებიათ, რომ დასავლეთი ბერლინი არ ეკუთვნის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. გადაწყვეტილება, რომ ფედერალური კრების სხდომა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები მოაწყონ დასავლეთ ბერლინში, არღვევს პოტსდამის შეთანხმების ძირითად დადგენილებებს.

პოლონეთს, ისე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, არა აქვს პრეტენზია, ჩაერიოს დასავლეთ ბერლინის შინაურ საქმეებში. როგორც ევროპის მშვიდობის, ევროპის სახელმწიფოთა თანამშრომლობის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვენ, პოლონეთს არ შეუძლია შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დასავლეთ ბერლინს იყენებს თავისი ცივი ომის პოლიტიკისათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი უნდა აიღოს თავის პროვოკაციულ პოლიტიკაზე. დასავლეთ ბერლინის მიმართ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პოლიტიკის შედეგებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად მოქმედებენ ამ პროვოკაციის მოსაწყობად. დასავლეთ ბერლინის სენატი და ფარმომადგენელთა პალატა ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ, როცა მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის აქციაში.

შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომლებიც ათორიზებენ საოკუპაციო ხელისუფლებას დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმის გამო, რომ ურიგდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგეგმილ პროვოკაციას, განსაკუთრებით, როცა ისინი ცდილობენ გაამართლონ თავიანთ დეკლარაციაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პროვოკაციული წამოწყებანი და ჯეროვნად არ შეაფასონ მათი შედეგები.

პოლონეთი მუდამ მოქმედებდა და ამჟამადაც იმოქმედებს ევროპაში დამკვიდრებული სტატუს-კვოს დაცვის სასარგებლოდ. ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა და თავის მოკავშირეებთან ერთად მტკიცედ გაუწევს წინააღმდეგობას ყოველგვარ ცდებს დაარღვიონ არსებული მდგომარეობა, იმ ცდებს, რომ დასავლეთი ბერლინი გამოიყენონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის რევანშისტული მიზნებისათვის.

სოფია, 13 თებერვალი. (საკდესი). **დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები დიდი ხანია ცდილობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი გახადონ დასავლეთი ბერლინი, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“ სტატიაში იმ გადაწყვეტილების გამო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები მოაწყონ ამ ქალაქში.** ამით ბონელ ეკანატონებს სურთ შექმნან ხელსაყრელი პრეცედენტი და ამოსავალი პოზიცია იმისათვის, რომ განაგრძონ შეტევა არსებული სტატუს-კვოს წინააღმდეგ, იმ მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელიც ევროპაში წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, რათა მეორე რიხი 1937 წლის ფარგლებში ან 1939 წლის ფარგლებშიც კი შექმნან. ასეთია ბონის რეგანშისტული ზედა ფენის მოქმედების ახრი, მისი ტაქტიკა დასავლეთ ბერლინის მიმართ, ასეთია დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების პროვოკაციის ნამდვილი მნიშვნელობა.

ბონი, 13 თებერვალი. (საკდესი). **ჰამბურგის გაზეთი „ბლინკფიუერი“ მკაცრად აკრიტიკებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ ბერლინში მოაწყოს ახალი პრეზიდენტის არჩევნები. „ის, ვისაც პრეზიდენტის არჩევნების ადგილი გადაეაქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, — ნაოქვამია გაზეთის მოწინავე სტატიაში, — ამით ახორციელებს აშკარა პროვოკაციების პოლიტიკას. თვით დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა აღიარებთ, ფედერალური პრეზიდენტის არჩევის ადგილად ასეთივე უფლებით შეიძლებოდა დაენიშნათ ლუქსემბურგი ან ლიტენშტაინი“.**

ახალი პრეზიდენტის არჩევნები, — აღნიშნავს შემდეგ „ბლინკფიუერი“, — ეს არის ბონის ხელისუფალთა უხეში თვითნებობის ახალი აქტი.

გაზეთი წერს, რომ ბონის პროვოკაცია დასავლეთ ბერლინში შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ დუმილით კვერს არ უკრავდნენ და არ აქებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები.

საბოლოო ანგარიშში, ბონის პროვოკაცია დასავლეთ ბერლინში თავისი მახვილით მიმართულია საერთოდ ხალხთა თავისუფლებისა და უშიშროების წინააღმდეგ, ევროპის პროგრესისა და მშვიდობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის უფლება და მოვალეობაა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ ბონის რევანშიზმს, ხაზგასმით აღნიშნავს ბულგარული გაზეთი.

ამღვავებენ დაძაბულობას

ბონი, 12 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგოდოვი იუწყება:

დღეს ბონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ფონ ჰასელმა გადაწყვიტა მოიწვიოს ფედერალური კრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად დასავლეთ ბერლინში— გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. როგორც ბუნდესტაგის პრეს-სამსახური იუწყება, ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა თათბირები, რომლებშიც მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კიზინგერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბრანდტი, ბუნდესტაგის ფრაქციების წარმომადგენლები და დასავლეთ ბერლინის მმართველი ბურგომისტრი შიუცი.

ამრიგად, ბონში აპირებენ განაგრძონ დასავლეთ ბერლინზე, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ნაწილზე“ ამბურდულ პრეტენზიათა პროვოკაციული პოლიტიკა, თუმცა დასავლეთი ბერლინი არც შედიოდა და არც შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. დასავლეთ გერმანიის მმართველმა წრეებმა ამგვარი გადაწყვეტილებით დაადასტურეს თავიანთი კურსი შეგნებულად გაამწვავონ დაძაბულობა ევროპის ცენტრში.

ახლა ბონში გამალებით მიმდინარეობს მზადება განზრახული პროვოკაციისათვის. როგორც დღეს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, ბონის ბუნდესტაგის სამმართველომ ბუნდესტაგის ყველა დეპუტატსა და ლანდტაგების ამომრჩევლებს გაუგზავნა უწყებები, რომლებშიც სთხოვენ აცნობონ, თუ როგორ აპირებენ დასავლეთ ბერლინში გამგზავრებას და სად სურთ შეჩერდნენ.

როგორც ცნობილია, ფედერალური კრების წევრთა შორის ამომრჩევთა დიდ ჯგუფს წარმოადგენს ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა

ბერლინი, 13 თებერვალი. (საკდესი). **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის არ დაუშვებს იმას, რომ დასავლეთ ბერლინში უკანონოდ მოიწვიონ დასავლეთ გერმანიის ფედერალური კრება,**

ბონის განზრახვა ნოტაში შეფასებულია როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების რევანშისტული პოლიტიკის განზრახ აშკარა დემონსტრაცია.

დასავლეთ ბერლინი არ ყოფილა, არ არის და არასოდეს არ იქნება დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი, აღნიშნულია დოკუმენტში.

დასავლეთ გერმანიის მმართველ წრეებს, ხაზგასმულია ნოტაში, ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა იმ ღონისძიებათა შედეგებისათვის, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განახორციელებს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ პოტსდამის შეთანხმებებიდან, განახორციელებს მტკიცე ღონისძიებებს, „რათა ბოლო მოეღოს დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტულ და ნეონაცისტურ მისწრაფებას“.

ანალოგიური შინაარსის ნოტები გაეგზავნა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს.

აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას

ლონდონი, 13 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ი. უსტიმენკო იუწყება:

მთავრობის კურსი სამხედრო ხარჯებისა და დაბებვრის დარგში გააკრიტიკეს გუშინ ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე, რომელიც იხილავდა მთავრობის საგიუჯეტო კოლიტიკას.

ლეიბორისტთა მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა ფრენკ ოლაუნმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა არსებითად შემცირდეს სამხედრო ასიგნებანი და აღნიშნა, რომ ეს ასიგნებანი მთავარი მიზეზია ეკონომიური და ფინანსური სიძნელეებისა, რომლებსაც ახლა ინგლისი განიცდის.

პარლამენტის წევრთა მთელ რიგ გამოსვლებში გაისმოდა მოწოდება, ძირეულად შეცვალონ გადასახადით დაბეგვრის ახლანდელი სისტემა, რომელიც ძმიმე ტვირთად აწევება მოსახლეობის მცირეშემოსავლიან ფენებს. ლეიბორისტმა ჯეიმს დიკენსმა განაცხადა, რომ ამჟამად ინგლისში შეიმჩნევა სოციალური კონტრასტების შემდგომი ზრდა და რომ მოსახლეობის ერთი პროცენტი ფლობს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის თითქმის 40 პროცენტს. მან მოითხოვა შემოიღონ სპეციალური „გადასახადი სიმდიდრისა“, რომელიც შეეხება უწინარეს ყოვლისა შეძლებულ ფენებს.

საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე შეშფოთება გამოთქვეს იმ გაფლარებების გამო, რომ მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა და მისი მისწრაფება, ახალი გადასახადებისა და ფასების სიერდო მომატების გზით შეამცროს შინაგანი მოხმარება ინგლისში, მშრომელთა ფართო უკმაყოფილებას იწვევს, რის შედეგად ლეიბორისტული პარტია სულ უფრო კარგავს ამომრჩეველთა მხარდაჭერას.

საშიში ვიზიტი

ტოკიო, 12 თებერვალი. (საკდესი). **იაპონიის იოკოსუკის ნავსადგურში აღნიშნულია წყალისა და ჰაერის გადიდებული რადიოაქტიობა.** მას შემდეგ, რაც 10 თებერვალს 12 დღის ვიზიტად ამ ნავსადგურში შევიდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „ჰედოკი“, მისი სადგომის ახლოს აღმოაჩინეს წყლის გადიდებული რადიოაქტიობა ჩვეულებრივ დონესთან შედარებით. დღეს იაპონიის სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს სპეციალურმა ჯგუფმა წყალქვეშა ნავის „ჰედოკის“ სადგომიდან 500 მეტრზე აღნიშნა ჰაერის რადიოაქტიობის ჩვეულებრივზე 3,5-4-ჯერ გადიდება.

ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების ვიზიტები პირველად როდი ემუქრებიან ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლის საფრთხეს. იაპონელი ხალხი გადაჭრით მოითხოვს შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური წყალქვეშა ნავების შესვლა იაპონიის ნავსადგურებში, „ეუქმდეს ყველა ამერიკული სამხედრო ბაზა ქვეყნის ტერიტორიაზე და იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულება“.

სპროტესტო გამოსვლები თურქეთში

ანკარა, 12 თებერვალი. (საკდესი). **სტამბოლის ნავსადგურში დგანან ამერიკის მეექვსე ფლოტის ხომალდები ავიამზიდ „ფორრესტალის“ მეთაურობით. მესამე დღეა ქალაქში არ წყდება ამერიკის საჭიროსადმდგომ დემონსტრაციები.** პოლიციელთა და ჟანდარმთა გამლიერებული ქვეგანაყოფები იცავენ დოლმაბახჩის ნავსადგურს. რაიონს, სადაც ხომალდები დგანან. ორ ათასზე მეტმა სტუდენტმა ჩაიარა გუშინ სოლამის ქალაქის ქუჩებში. ისინი გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს იმპერიალიზმი!“; „ძირს ამერიკის მეექვსე ფლოტი!“. დემონსტრაციის გასაჩერებლად პოლიციამ გამოიყენა ხელკეტები და ცრემლსადენგაზიანი ბომბები. როგორც პრესა იუწყება, დაშავდა ორმოცდათამდე კაცი, დაიწყო დაპატიმრება.

ამერიკის საერთაშორისო გამოსვლები მოედო თურქეთის სხვა ქალაქებსაც. ესკიშეხირსა და ტრაპიზონში გაიმართა საპროტესტო მიტინგები, რომლებიც სტუდენტი ახალგაზრდობისა და პროფკავშირთა წარმომადგენლებმა მოაწყვეს, იუწყება „ხაბერის“ სააგენტო.

ოკეანესგალმელი „სტუმრები“ თავს იკავებენ ნაპირზე ჩამოსვლისაგან და იძულებული ორიან ძველ სტამბოლს გაეცნონ მხოლოდ ილუმინატორებიდან.

იორდანია



ცხოვრების მძიმე პირობები შექმნა ისრაელის სამხედრო ხროვის მიერ ოკუპირებული არაბული რაიონების მოსახლეობას. საოკუპაციო ხელისუფალთა რეპრესიებმა ათასობით ადამიანი აიძულა მიეტოვებინა მშობლიური ადგილები, გაჭირულიყო იორდანიაში.

კარეების ქალაქ ბაკარში, რომელიც იორდანიის დედაქალაქის ამანის მახლობლად წარმოიშვა, 37.000 ადამიანმა — ძირითადად ქალებმა და ბავშვებმა — შეაფარა თავი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დემოკრატიული ძალები უანგარო დახმარებას უწევენ ლტოლვილებს მედიკამენტებით, საკვებით, ტანსაცმლით. მიუხედავად ამისა, მათი მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

სურათზე: კარეების ქალაქის საერთო ხედი. ფოტო ცბ-ისა.

მოლაპარაკება რაინზე

ბონი, 13 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი გვატყობინებს:

გუშინ დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში გაიმართა პირველი ორი შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კიზინგერსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონს შორის, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.

მოლაპარაკების დროს განიხილეს ბევრი საერთაშორისო პრობლემა, მათ შორის დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხი, ნატოს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემები, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, აგრეთვე დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საკითხი.

კიზინგერისა და ვილსონის ეს მოლაპარაკება ვაჭრობის ხასიათს ატარებს, რომლის მიზანია პოლიტიკური გარიგება. ბონი ინგლისს პირდება გაუხსნას კარი „საერთო ბაზარში“ და სურს ამის სანაცვლოდ ლონდონმა მხარი დაუჭიროს, მის უკანონო პრეტენზიებს დასავლეთ ბერლინის მიმართ, აგრეთვე ატომური ნეგატიურ პოზიციას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხში.

როგორც გუშინ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დილმა განაცხადა, დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ინგლისის პრემიერს აღუთქვა, რომ ბონი სავსებით უჭერს მხარს ლონდონის მისწრაფებას, რომ „ინგლისი გახდეს ევროპის ეკონომიური გაერთიანების წევრი“. არაკითარი სხვა გადაწყვეტილება, ბონის აზრით, არ შეიძლება იყოს.

თავის მხრივ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბონის კანცლერს განუცხადა, რომ, მისი მთავრობის აზრით, „შეუძლებელია უკანდახევა დასავლეთ ბერლინში ფედერალური კრების მოწვევის საკითხში“. ამით მან მხარი დაუჭირა ბონის უკანონო პრეტენზიებს.

კიზინგერის მსგავსად ვილსონმა მოითხოვა, გამტკიცდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკი და მხარი დაუჭირა ინგლის-დასავლეთ გერმანიის ერთობლივ პროექტს, რომ შეიქმნას გაზის ცენტრიფუგის მეთოდით ურანის გამდიდრების დანადგარი.

დასავლეთ გერმანიის მხრივ მოლაპარაკებაში, კიზინგერის გარდა, მონაწილეობდნენ აგრეთვე მინისტრები შტოლტენბერგი, შტრაუსი და შილერი.

ინგლისის სახიზანთო ურთიერთობას ამყარებს დასავლეთგერმანელ მილიტარისტებთან. ამას მოწმობს გუბმა, რომელიც გულისხმობს გაზის ცენტრიფუგის მეთოდით გაგდიდრებული ურანის წარმოების მიზნით ინგლის-დასავლეთ გერმანიის კონსორციუმის შექმნას. (გაზეთიდან).

საშიში დაახლოება.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

ყოველი მხრიდან

რაზე წერს უცხოეთის პრესა

13 თებერვალი

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტის შედეგებს უძღვნის დღეს უნგრული გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ მოწინავე სტატიას. გაზეთი ხაზს უსვამს იმ პრინციპების სიმტკიცეს, რომლებიც საფუძვლად უდევს ორი მოძმე ქვეყნის თანამშრომლობას.

საზღვარგარეთის პრესა აშუქებს იტალიის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის მუშაობას.

დღევანდელ გაზეთებში ბევრი მასალა შეეხება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ბრძოლას თავიანთი უფლებებისა და ინტერესებისათვის. პარიზის **„ლუმანიტეში“** გამოქვეყნებულია შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელების განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მრეწველთა მოქმედების დღემ, რომელიც 12 თებერვალს მოეწყო მთელ საფრანგეთში, გამოიჩინა ერთიანობა, რომ წარმატებით დამთავრდება ბრძოლა საერთო და ნაწილობრივი მოთხოვნებისათვის, რომის გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ მთელ იტალიაში მიმდინარეობდა მშრომელთა გაფიცვა, რომელიც პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მონოპოლისტებმა შემოიღეს შრომის ანაზღაურების დისკრიმინაციული სისტემა. 13 თებერვალს პროფკავშირთა მოწოდებით იტალიაში მიმდინარეობს მეშვიდე საერთო-ეროვნული 24 საათის გაფიცვა.

პარიზის გაზეთები იუწყებიან საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომის შესახებ და, ეერძოდ, აღნიშნავენ: საფრანგეთმა დაადასტურა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას დასავლეთ ევროპის კავშირის წარმომადგენელთა თათბირში, რომელიც 14 თებერვალს გაიხსნება ლონდონში. გაზეთ **„ოროროს“** შიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი მოასწავებს „საფრანგეთის ახალ ვეტოს ევროპის „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის მიმართ“,

ბევრი გაზეთი კომენტარს უძღვნის ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონის გამგზავრებას ბონში. პოლონური. **„ულნეე ვოლნოსტი“** აღნიშნავს, რომ ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაახლოებას ცდები ეწინააღმდეგება ევროპის მშვიდობის განმტკიცების ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონსა და ბონს შორის ობიექტურად ინტერესთა წინააღმდეგობაა, წერს გაზეთი, ინგლისის მთავრობა ამ ბოლო დროს ყოველნაირად ცდილობს მიიმხროს კიზინგერი, რისთვისაც იყენებს ყოველ შემთხვევას, რათა ხაზი გაუსვას, რომ მზად არის ბევრი რამ დათმოს ამის სანაცვლოდ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ქრონიკა • ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

სხდომა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 12 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს დილით თეთრ სახლში მოიწვია ერთეული უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა უარი განაცხადა რაიმე ეთქვა საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შესახებ. მაგრამ აქ გამოთქვამენ აზრს, რომ პრეზიდენტი ნიქსონი და მისი მრჩეველები განიხილავდნენ დასავლეთ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სენატორ მაკკოვერნის მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის ომის შეწყვეტა მოითხოვა დემოკრატმა სენატორმა ჯორჯ მაკკოვერნმა. მან სიტყვა წარმოთქვა სალიტზე, რომელიც გამართეს ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის წევრებმა ალბუკერკში (ნიუ-მექსიკოს შტატი). სადილზე მაკკოვერნმა განაცხადა, რომ ამერიკელები ამაოდ იღუპებიან ვიეტნამში, განსაკუთრებით ახლა, როცა ნათელია, რომ გამარჯვების მიღწევა იქ შეუძლებელია.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პრობლემებს, სენატორმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში მღელვარებისა და სასოწარკვეთის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ამერიკელი მოქალაქენი გრძნობენ თავიანთ უძლურებას გავლენა მოახდინონ, რათა მთავრობამ მიიღოს საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

ახალი გარიგება

**ქენე

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘ— ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნისაგან“ მიიღო მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის გამოცხადებულ სრულიად საკავშირო კონკურსში გამარჯვებულთა დიპლომები.

პირველი ხარისხის დიპლომები წიგნისათვის „ᲑᲠᲣᲨᲘᲐ“ მიენიჭა მისი ავტორების კოლექტივს — გამოცემის პასუხისმგებელ რედაქტორს, ინსტიტუტის დირექტორს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თ. ᲤᲐ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲡ, მეცნიერ თანამშრომლებს — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორებს ᲒᲐ. ᲒᲐ. ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘᲡᲐ და ᲕᲐ. ᲨᲐᲝᲨᲕᲘᲚᲘ. მეცნიერებათა კანდიდატებს Ჯ. Დ. ᲐᲜᲗᲐᲫᲔᲡ, ᲒᲐ. Ი. ᲓᲕᲘᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡ, ᲜᲐ. ᲒᲐ. ᲓᲔᲕᲘᲫᲘᲔᲡᲐ და ᲓᲐ. ᲒᲐ. ᲣᲫᲚᲔᲑᲐᲡ.

წიგნში „გრუზია“, რომელიც 1967 წელს გამოუშვა გამომცემლობა „ᲛᲘᲡᲚᲚᲐ“ (მოსკოვი), მაღალ მეცნიერულ დონეზე და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ფორმით აღწერილია რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსები და მათი სამეურნეო გამოყენების ახლანდელი მდგომარეობა. მოკლედ გაშუქებულია საქართველოს ისტორია, თანამედროვე მიღწევები მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში.

წამახალისებელი დიპლომით დაჯილდოებულია ავტორი ბროშურისა „ᲐᲜᲐᲙᲝᲤᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲒᲐᲜᲘ“ — გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ᲨᲐ. Კ. ᲢᲘᲜᲗᲘᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ. მისი ბროშურა ამ თემაზე გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1967 წელს თბილისში. პირადი დაკვირვების საფუძველზე ავტორი საინტერესოდ აგვიწერს მიწისქვეშა კარსტულ გამოქვაბულებს, რომლებიც მდებარეობს ახალი ათონის რაიონში, აგრეთვე მოგვითხრობს ქართველ სპელეოლოგთა გამოკვლევების შესახებ. (საქდესი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — გ. მდივნის პიესა „კონსული მოიპარეს“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ანთაძემ. მხატვარია მ. მალაზონია. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კ. მაჭავარიანს.

ᲕᲘᲜᲪ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ...

ᲐᲠᲐ, ეს ბუნების ჩვეულებრივი მოვლენა როდი იყო... ახლა ყველამ იცის იმ საოცარი ძალის გრიგალის ამბავი, რომელმაც იანვრის პირველ კვირაში დასავლეთ საქართველოს გადაუარა და განსაკუთრებით დაუზარალა ქუთაისი.

მაგრამ ყველამ შეიძლება არ იცოდეს, რომ 22-23 იანვარს ქუთაისს კვლავ დაატყდა თავს ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე წამში 35 მეტრს აღწევდა.

იანვრის ამ დღეებში ქუთაისში ხანძრის გაჩენის 75 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. და, გინ იცის, რით დამთავრებოდა იგი, რომ მამაც ადამიანებს გზა არ გადაელობათ სტიქიისათვის. საბედნიეროდ, წარმოშობილი ხანძრებისაგან მხოლოდ ხუთმა გამოიწვია გარკვეული ზარალი, დანარჩენები კი უზარალოდ იქნა ლიკვიდირებული.

მაშინ ფეხზე დადგნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მთელი მოსახლეობა, დღე-დაღამ შეუსვენებლად მუშაობდა ქალაქის სახანძრო დაცვის მთელი პირადი შემადგენლობა.

შტორმულ ქართან ერთად ხანძართან ბრძოლას ისიც აძნელებდა, რომ ქალაქს არა ჰქონდა ელექტროგანათება.

ამ პირობებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქალაქის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსმა ს. ᲯᲐᲜᲯᲐᲚᲘᲐმ, რომელმაც ბევრი უძილო ღამე გაათენა.

8 იანვარს ცეცხლი გაუჩნდა უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების ბამბის საწყობს. მისი გაგრცელება საერთოდ უქმნიდა აქვე განლაგებულ მსხვილ სამრეწველო საწარმოებს. მაგრამ მეხანძრეებმა სულ მოკლე ხანში ხძლიეს სტიქიას.

სხვებთან ერთად აქ თავი გამოიჩინეს ქალაქის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილემ დ. ᲚᲝᲗᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘმ, ოპერატიულმა მორიგემ ს. ᲐᲑᲐᲛᲘᲫᲔმ, მეხანძრეებმა მ. ᲥᲝᲠᲭᲝᲚᲘᲜᲘᲫᲔმ, ი. ᲩᲘᲮᲝᲐᲫᲔმ, Თ. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔმ, თ. თევდორაძემ, გ. მაღლაფერიძემ და სხვებმა. მეხანძრეებთან ერთად მამაცობის მაგალითები უჩვენა მოსახლეობამ.

ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡ, ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ

◆

ულმა მორიგემ ს. აბამიძემ, მეხანძრეებმა მ. ᲥᲝᲠᲭᲝᲚᲘᲜᲘᲫᲔმ, ი. ᲩᲘᲮᲝᲐᲫᲔმ, Თ. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔმ, თ. თევდორაძემ, გ. მაღლაფერიძემ და სხვებმა. მეხანძრეებთან ერთად მამაცობის მაგალითები უჩვენა მოსახლეობამ.

ბესიკის ქუჩის პირველ შესახვევში ცეცხლი გაუჩნდა მოქალაქე გ. გახოკიძის სახლს. ცეცხლის ენები მაღლა მიიწევდნენ, მაგრამ ალმოდებული სახლში თავიანთი სიცოცხლის რისკით შეეჭრნენ მეზობლები დ. ᲩᲘᲚᲔᲡᲐᲫᲔᲡ, ვ. გაბუნია, ბ. ᲥᲝᲠᲭᲝᲚᲘᲐᲜᲘ, გ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ და სხვები. ფეხზე დადგა დიდი და პატარა.

მართალია, სახლი დაწვას ვერ გადაურჩა, მაგრამ მამაცმა ადამიანებმა მთელი ავეჯი და ნივთები — პიანინოები დაწყობილი და უბარალო ჭიქით დამთავრებული ყველაფერი გადაარჩინეს.

22 იანვარს, ნაშუალამევს, აბრეშუმამბინაკის ფაბრიკათა 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლის სხვენზე ცეცხლი შეემჩნია ტაქსის მძღოლმა გ. მამაგაფარიძემ. მან დაუყოვნებლივ გაალვიძა მობინადრენი და მყისვე შეატყობინა სახანძრო რაზმს. მიღებული ზომების შედეგად სახლი მთლიანად გადარჩა.

როცა აღნიშნულ სახლში ხანძართან ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იმავე გ. მამაგაფარიძემლა ახლა სვეასტოპოლის ქუჩაზე ხანძრის ახალი კერის შესახებ აცნობა სახანძრო რაზმს. აქ მოქალაქე ბარქაიას ალმოდებულ სახლში საფრთხეს ისიც აძლიერებდა, რომ სანზარეულოში გაზიანი बალონები იდგა. ერთი წუთიც, და გაზი აფეთქდებოდა. ქალაქის № 1 სახანძრო რაზმის მძღოლი გ. დეკანელი წყლის ჭალაკს ეკიდა, გაზის बალონებთან მიიჭრა, გარეთ გამოიტანა და მოსაწოდებელი საფრთხე თავიდან აიცილა სახლს.

სტალინის მძვინვარების დღეებში ქუთაისელმა მეხანძრეებმა დახმარების ხელი გაუწოდეს მეზობელ რაიონებსაც. მათი დახმარებით გადაურჩა დაწვას გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის ელენტრალური საწყობი და იქ მოთავსებული დიდძალი ჩაის მზა პროდუქცია. მათივე დახმარებით ჩააქრეს ხანძრები ტყიბულში, მეშახტეთა საცხოვრებელ სახლებში.

ქუთაისში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ქალაქის მმრომელები ყოველთვის დიდი მადლობითა და პატივისცემით იხსენიებენ იმ ადამიანებს, ვინც თავდაუზოგავად ებრძოდა გამძვინვარებულ სტიქიას და მასზე გიმარჯვა.

Შ. ᲧᲐᲕᲐᲮᲨᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲘᲠᲘᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲒᲐᲠᲗᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲠᲜᲐᲚ „ᲖᲝᲚᲝᲒᲝᲕᲘᲡᲨᲘ“ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲨᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘ— ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ

ᲒᲠᲘᲞᲘᲡ შესახებ უკანასკნელ ხანს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მეცნიერები განაგრძობენ მისი პროფილაქტიკის და მკურნალობის საიმედო გზების გამუშავებას. ეს საშიში ინფექცია არაფრად აგდებს არც მანძილს, არც სახელმწიფო საზღვრებს. თვითონ გრიპის ვირუსი კი მრავალფეროვანია; უფრო ზუსტად, იგი წარმოადგენს ერთმანეთის ძალიან მსგავსი და ამასთანავე განსხვავებული ვირუსების მთელ ოჯახს. მისი შემადგენელი სამი ტიპის — A, B და C ტიპების ვირუსები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ თვითეული მათგანისათვის ორგანიზმი ქმნის იმუნიტეტს, რომელიც სხვა ტიპების ვირუსებისაგან არ იცავს. თვითეულ ვირუსს (A, B და C) ერთსა და იმავე ადგილში გაჩენის თავისი პერიოდულობა აქვს. შენიშნულია, რომ A ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის ეპიდემიები ჩნდება წელიწადნახევრის-ორი წლის შემდეგ, ხოლო B ტიპის ვირუსით გამოწვეული ეპიდემიები — სამი-ხუთი წლის შემდეგ.

მაგრამ ამით როდი განისაზღვრება გრიპის ვირუსის თვისებათა მრავალფეროვნება. თვითეული ტიპის წარმომადგენლები დროთა განმავლობაში ისე იცვლებიან, რომ, მაგალითად, A ჯგუფში უკვე რამდენიმე ქვეტიპი ითვლება: A1, A2.

უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსებით გამოწვეულ სხვა დაავადებათაგან განსხვავებით, როგორიც არის ყვავილი, წითელა, რომლებიც ხანგრძლივ იმუნიტეტს ტოვებენ, გრიპის შემდეგ იმუნიტეტი ხანმოკლეა, სულ ერთნახევარი-ორი-სამი წელი. ამიტომ ადამიანი განმეორებით ხდება ავად გრიპით.

ამ ვერაგ მტერთან საბრძოლველად გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები. დედამიწის ყველა კუთხეში ისინი აკვირდებიან ვირუსის თვითეულ ნაბიჯს და, თუ ეპიდემია იწყება, მაშინვე აცნობებენ ამას ყველა ქვეყანაში. სპეციალური დარჩილული ამპულებით იგზავნება ეპიდემიის გამომწვევიც — თვითონ ვირუსი.

ასე მოხდა 1968 წლის აგვისტომიც. სსრ კავშირის გრიპის სრულიად საკავშირო რეგიონალურმა ცენტრმა მიიღო საგანგაშო ცნობა: გრიპის ვირუსის ახალი ნაირსახეობა აღმოჩენილია ჰონკონგში. და მალე ჩვენმა მეცნიერებმა შეძლეს შეესწავლათ ეს ვირუსი, ამ სეზონშიც მას ისეც უწოდებენ — „ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ“. აღმოჩნდა, რომ თავისი თვისებებით იგი ახლოა უკვე ცნობილ ვირუს A 2-თან, რომელმაც ეპიდემია გამოიწვია 1957 წელს.

რის შესახებ გვინდა ჩვენ, კლინიცისტებს, გავაფრთხილოთ მოსახლეობა? უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, რომ გრიპი სერიოზული დაავადებაა, და იგი განსაკუთრებით სიმაღლეში გართულებებით. ბაქტერიები, რომლებიც მუდამ იმყოფებიან ადამიანის ორგანიზმში, ეპიდემიების დროს გრიპის ვირუსების თითქოს თანამზრახველნი ხდებიან. გრიპს უკან მათ მიაქვთ სერიოზულ გართულებათა შლეიფი. აქ არის ფილტვების, შუა ყურის ანთებაც, ცხვირის დამატებითი წიაღების ანთებაც (გაიმორიტი და ფრონტიტი), გულისა და სისხლძარღვების ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა, აგრეთვე ბრონქიტის, ტუბერკულოზის გაწვავებაც.

ვირუსები ჰაერთან ერთად შედიან ორგანიზმში და ჩვეულებრივ რჩებიან სასუნთქი გზების ეპითელიურ (საფარველის) უჯრედებში, აზიანებენ მათ, მრავლდებიან აქ და წამლავენ მთელ ორგანიზმს.

ᲒᲠᲘᲞᲘᲡ Ე�პᲘᲓᲔᲛᲘᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲗᲕᲘᲡ შემდეგ, როგორც წესი, პოლიკლინიკებში იზრდება მომსვლელთა რიცხვი. მოდიან ადამიანები, რომლებსაც აწუხებთ გულის მანკები. გრიპის შემდეგ მათ ხშირად ემართებათ დეკომპენსაცია, უფრო ცუდად გრძნობენ თავს ის ადამიანები, რომლებსაც წინათ ინფარქტი გადაუტანიათ. ექიმს მომართავენ ისინიც, ვისაც ჰიპერტონიული ავადმყოფობა აწუხებს, და ისინიც, ვისაც არტერიული წნევა დაწეული აქვს.

სწორედ ამიტომ ჩვენ დაბეჭითებით მოგიწოდებთ — ეცადეთ სრულად გამოჯანსაღდეთ, შეასრულეთ ექიმის რჩევა-დარიგება!

გრიპის ეპიდემიის დროს ნაკლები იყოს კონტაქტები, კინოში და იმ ადგილებში სიარული, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს! იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც ქრონიკული დაავადება აწუხებს, ჩვენ ვურჩევთ მკვეთრად შეამცირონ პოლიკლინიკებში სიარული. იქ ხომ უფრო ხშირად, ვიდრე სადმე სხვაგან, შეიძლება შეხვდე გრიპით ავადმყოფს და გადაგდოს ავადმყოფობა, მით უმეტეს, რომ ქრონიკული ავადმყოფები კარგად იცობენ ექიმის მიერ მათთვის რეკომენდებულ რეჟიმსა და წამლებით მკურნალობას. თუ აუცილებელი საჭიროება არ არის, გრიპით ავადმყოფი არ უნდა ინახულოთ ხოლმე!

წინათ მიაჩნდათ, რომ გრიპით ავადმყოფი გარშემო მყოფთათვის საშიშია დაავადების მხოლოდ პირველ დღეებში. ვირუსოლოგიის ინსტიტუტის კლინიკაში ჩვენ დავრწმუნდით, რომ გრიპით ავადმყოფი გადადების მხრივ საშიშია მთელი იმ დღეების განმავლობაში, სანამ დაავადების თუნდაც რაიმე ნიშანი აქვს. ასეთ შემთხვევებში გრიპის ვირუსები აღმოგვიჩენია დაავადების მეათე და მეთხუთმეტე დღესაც. განსაკუთრებით დიდხანს დარჩებიან ეს ვირუსები, თუ ადამიანს რაიმე გართულება დაეწყო.

როგორ უნდა იქცეოდეს გრიპით ავადმყოფი?

უწინარეს ყოვლისა უნდა გაუადვილოს ორგანიზმს ინფექციასთან ბრძოლა. ამისათვის უნდა დაზოგოს ძალები, დაიცვას წოლის რეჟიმი, სანამ ექიმი ადგომის ნებას დართავდეს. თუ ეს მოთხოვნები სრულდება, გრიპი მნიშვნელოვნად მალე, ზოგჯერ ხუთ დღეში გაივლის.

ძნელია ყველასათვის გამოსადეგი საერთო რეკომენდაციების მიცემა: **ყველაზე მარტივი რჩევა — გრიპის დროს სასარგებლოა ბევრი სითხის მიღება, რომ ორგანიზმის ინტოქსიკაცია შეამცირო, — არ ვრცელდება იმათზე, ვისაც თირკმლების ან გულის დაავადება აქვს.**

ზოგნი თვითონ მკურნალობენ თავიანთ თავს. ისინი უწინარეს ყოვლისა ცდილობენ დაიკლონ ტემპერატურა. მაგრამ თუმცა ამასაც ყოველთვის როდი უნდა ვაკეთებდეთ, **ტემპერატურა, არსებითად, დამცავი ფაქტორია, ორგანიზმის პასუხია ინფექციის შეჭრაზე. და ზოგჯერ სიცხე მოწმობს არა იმდენად ვირუსის ძალას, რამდენადაც ორგანიზმის დამცავი ძალების აქტივობას.** მხოლოდ მაშინ, როცა ტემპერატურა 39 გრადუსსა და მეტს აღწევს, იგი საშიში ხდება ავადმყოფის ორგანიზმისათვის, და ექიმები იწყებენ მასთან აქტიურ ბრძოლას.

დიდ შეცდომას სჩადიან ისინიც, ვინც გრიპით რომ გახდება ავად, მაშინვე იწყებს ტეტრაციკლინის მიღებას. თუ სასუნთქი გზების ბაქტერიული ანთება არ არის, ეს პრეპარატი ზედმეტია, იგი გრიპის ვირუსებზე არ მოქმედებს. ამავე დროს ავადმყოფის ორგანიზმში მყოფი ბაქტერიები ეჩვევიან ტეტრაციკლინს, და შემდეგ, თუ გართულებები განვითარდა, მათთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება.

ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: გრიპი სერიოზული დაავადებაა, რომელიც მთელ ორგანიზმზე მოქმედებს, ამიტომ სერიოზულადაც მოეკიდეთ მას!

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ,
პროფესორი.

ᲒᲠᲘᲞᲡ ᲜᲣ ᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲘᲗ!

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ახალგაზრდა ქართველი მხატვრების, მოქანდაკეების, ჭედურობის ოსტატთა შემოქმედება წარმატებით სარგებლობს ხელოვნების მოყვარულთა შორის, ეს იქნება შინ თუ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ამჯერად მოსკოვში საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის დარბაზებში გამოფენილია სხვადასხვა რესპუბლიკის სამხატვრო აკადემიების სტუდენტ-დიპლომანტთა ნამუშევრები.

დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდა თბილისელი მოქანდაკის ჩ. შუბვანის სკულპტურა „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ“. მან 1968 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების განყოფილება (რესპუბლიკის სახალხო მხატვრის კ. მერაბიშვილის კლასი).

სურათზე: ჩ. შუკვანის სკულპტურა „ახალი ცხოვრებისაკენ“.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ

12 თებერვალს სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში მოსკოვის სამხედრო ოლქის ოფიცერმა ე. გალანინმა წარადგინა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მესამე ავტომოტოლატარიის ბილეთი, რომელსაც ხვდა უველაზე ძვირფასი მოგება — ავტომობილი „ვოლგა“.

ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲛᲗᲔᲒᲨᲘ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲜᲘ გაიხადეს ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა სათხილამურო ლაშქრობის მოწყობა შშობლიური მთების გეოგრაფიული შესწავლის მიზნით. ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივმა ამას წინათ მოაწყო საინტერესო სათხილამურო ლაშქრობა მარშრუტით — ამბროლაური-ხოტევი - ჭელაღელე-ნიკორწმინდა-მაორი - თლუღი- სხარტალა-ველევი - კვირაკეწმინდა - კრანი-ამბროლაური.

მოთხილამურეებმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, ორი დღეღამის განმავლობაში გაიარეს 50 კილომეტრი და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სასწავლებელში.

ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲛᲗᲔᲒᲨᲘ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირის პირველი ეტაპი.

უკანასკნელი დღის ასპარეზობიდან უპირველობის ცენტრში იდგა სამმაგ ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის ვ. სანეევის გამოსვლა. ამჯერად ვ. სანეევი სხვა ამპლუაში მოგვეელინა. იგი ძალას ცდიდა სიგრძეზე ხტომაში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა აქაც ჩინებული შედეგი გვიჩვენა — 7 მეტრი და 67 სანტიმეტრი. მიმდინარე სეზონში ეს ნახტომი დახურული მანეეთისათვის საუკეთესოდ ითვლება.

რიგის მანეეთის ახალი რეკორდი დაამყარა სამმაგ ხტომაში ამავე ქალაქის მკვიდრმა ლ. მალინშმა— 15 მეტრი და 92 სანტიმეტრი. 500 მეტრზე რბენაში ქალთათვის სამჯერ იქნა გაუმჯობესებული მანეეთის რეკორდი. ყველაზე უკეთეს შედეგს (1.17,0) მიაღწია რიგელმა ს. შტულამ. 50 მეტრზე რბენაში ვაუთა შორის უძლიერესი იყო კიეველი ვ. ბორზოვი —5,7 წამი. სპრინტერულ დისტანციაზე ქალთა შორის გაიმარჯვა პოლონელმა სპორტსმენმა უ. იუფეიკმა —6,4 წამი.

„ოთხი მანეეთის ტურნეს“ მეორე ეტაპი ტალინში გაიმართება.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲓᲐᲕᲐᲜᲗᲘ, 13 თებერვალი. (საკდესი). მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა, რომლებიც ახლა ლიდერობენ ევროპის ლიგის პირველობისათვის გამართულ ტურნირში, მოიპოვეს მეოთხე გამარჯვება უნგრეთის ძლიერ გუნდთან მატჩში ანგარიშით 5:2.

მეორე ადგილზე ირიან შვეიცის სპორტსმენები, რომლებმაც ოთხ შეხვედრაში მოაგროვეს 6 ქულა.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲫᲘᲣᲓᲝᲡᲢᲔᲑᲘ განაგრძობენ ტურნეს საფრანგეთში. მორიგ შეხვედრაში მათ ძლიეს საფრანგეთის გუნდს — მოიგეს ექვსი ორთაბრძოლა და ოთხი ფრედ დაამთავრეს.

ᲑᲣᲨᲘᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ სტუდენტ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატზე ლიდერმა თ. გიორგაძემ კაპენუტთან პარტია ყაიმით დაამთავრა და 10,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ᲣᲮᲔᲨᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ მოედანზე უხეშობით ჩვენს დროში თითქოს ვერავის გაუკვირვებ. და შაინც შეეცადეთ ფეხბურთის ფედერაციის გასული სეზონის არგაზაში მოყვანილი ციფრები განცვიფრებას იწვევს. სკანნის ოლქში მოედნიდან გაძევებულია 498 მოთამაშე. შვიდი მათგანის დისკვალიფიკაცია მოახდინეს ორ-ორი თვით, 107 ფეხბურთელი მოედანზე ვეღარ გამოვა ერთი თვის განმავლობაში. თუმცაღა, საოლქო კავშირის მდივანი ჰიულერგარდი გულს როდი იტეხს: „არა მგონია, რომ 498 გაძევება მეტად ბევრი იყოს. პატიოსნად რომ ვთქვათ, სეზონის წინ მეტს ვეარაუდობდითო“, საინტერესოა, მისცემს თუ არა ახალი სეზონი ბატონ ჰიულერგარდს საბაბს ოპტიმიზმისათვის? (ᲐᲐᲡ).

ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲑᲐᲪ ᲠᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲗ...

ბავშვობა, სკოლა, ეს ხომ ყველაზე სათუთ მოსაგონრად რჩება ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც თვით სკოლაც არ ივიწყებს თავის აღზრდილებს.

ბევრი ახალგაზრდა აღუზრდია თბილისის 61-ე სკოლას. ამ სკოლაში აღიზარდა ახლა უკვე სტუდენტი და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნანა ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔᲠᲘᲐ. ამავე სკოლის მეათე კლასის მოსწავლე მანანა სანაძემ ხომ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე იყო.

და აი ამასწინათ სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო ნ. ალექსანდრიასა და შარშანდელ კურსდამთავრებულებთან მეტად გულთბილი შეხვედრა. მოსწავლეთა შემდეგ კურსდამთავრებულებს მიესალმა და სწავლის წარჩინებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცა სკოლის დირექტორმა ლ. ჩხარტიშვილმა.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი **ნ. ალექსანდრია** 61-ე სკოლის მოსწავლეებთან.

ფოტო **ლ. ხერხეულიძისა** და **ა. თუთბერიძისა.**

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲠᲝᲛᲑᲝᲠᲘᲪ ცნობილია, მოსკოვის 1968 წლის საჭადრაკო ჩემპიონატში პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა და გროსმაისტერმა დ. ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲛᲐ. დებულებით მათ დამატებითი მატჩი უნდა ეთამაშათ, მაგრამ მისი გამართვა გაჭიანურდა. ტ. პეტროსიანს უნდოდა 6 პარტიის თამაში, დ. ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜი კი 12 პარტიას ამჯობინებდა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

მოსკოვის საჭადრაკო ფედერაციამ იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: რამდენადაც ტ. პეტროსიანმა სპასკის მატჩი მოახლოვდა და ახლა მეტოქეები მსოფლიო პირველობისათვის საბრძოლველად ემზადებიან, ტ. პეტროსიან-დ. ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜის ორთაბრძოლა აღარ შედგება. ორივე გროსმაისტერს მიენიჭა მოსკოვის ჩემპიონობა.

ᲛᲔᲛᲒᲝᲠᲗᲚᲝ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲠᲔᲮᲘᲝᲜᲚᲝᲜᲝᲕᲐᲙᲘᲐᲜᲘ დამთავრდა მეგობრული არმიების ზამთრის მეორე სპარტაკიადა. მონაწილეობა მიიღეს: ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის არმიელმა სპორტსმენებმა.

სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც 12 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲘᲢᲘ

ᲙᲐᲘᲜᲐᲠ-ᲑᲐᲑᲐᲡ

ᲞᲐᲞᲐᲠᲐ ᲢᲐᲑᲐ „კაინარ-ბაბას“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲮᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲐᲦᲒᲘᲚᲘᲡᲛᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲝᲜᲜᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲗᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲠᲔᲠᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ. ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲐᲥ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲜᲔᲡ ᲙᲐᲚᲘᲪᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ. ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ